ხუთშაბათი 3 სექტემბერი 1915 წ. წ. I.

საქართველო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 167 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 167

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

ღრმად დამწუხრებულნი: ქვრივი ეკატერინა იოსების ასული, შვილები: ვასილი, გიორგი, მარიამი, პელაგია, ბარბალე და ნინო; რძალი ქვრივი ნინო ერასტის ასული, ძმა გენერალ-მაიორი კირილე პეტრეს ძე ქუთათელაძეები; დები: ანასტასია ანჯაფარიძისა, სუსანა ლორთქიფანიძისა და მატრონა პეტრე ქუთათელაძის ასულნი, სიძეები: არჩილ დავითის ძე ანჯაფარიძე და ბეს რიონ თომას ძე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას კოლეგესკი ასესორის

კლიმენტი პეტრეს ძე ქუთათელაძისას,

რომლის გამოსვენება საკუთარი ბინიდან და დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია 3 სექტემბერს, დღით ხუთშაბათს, 3½ საათზე და გთხოვენ მობრძანებითა თქვენითა ანუგეშოთ მწუხარებასა შინა მყოფნი პირისუფალნი.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე.
ივანოვის ქუჩა, ნაგორნი უჩასტკის პირდაპირ. 2—2

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ენკენისთვიდან, მხოლოდ 2 დღით ახალი პროგრამა.
პატე ჟურნალი. № 231 თანამედროვე ცხოვრებიდან.
სენსაციური პიესა სეზონისა. **სვამდა ღვინოს და ხარხარებდა.**
თანამედროვე დრამა ოთხ ნაწილათ. გამოჩენილ არტისტების ბ.ბ. ივანიკოვის, იანუშევის, ბაკშევისა და იზვოლსკის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება გაგძელება მადიონების გიბნოზის ქვეშ მე-3-ე და მე-4-ე სერია.

ახლად დაარსებული საზოგადოების **„სინათლის“** მიერ 9 სექტემბერს
გაიხსნება ქ. ქუთაისში ქალთა ქართული სასწავლებელი
(ორი მოსამზადებელი და პირველი პროგიმნაზიური კლასი).
მსურველთ პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ ჯერ-ჯერობით ქართული გიმნაზიის შენობაში ბ. ი. ოცხელს. იქვე მიიღება თხოვნებიც.
7—3

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით
სნეულებს დილის 9—12 საათ. ტ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

გამოვიდა და იყიდება მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,
შედგენილი **ს. რ. გოგრბაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი „მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.“
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა
მომავალი ენკენისთვიდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნის
ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ **სკოლას საბავშო ბაღით.**
სწავლის ფასი თვეში 10 მ.
ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან.
სკოლის კურთხევა მოხდება სამშაბათს, 1 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 5 საათზე. 6—6

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკოებული
მ. ბ. კვინიხიძის
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).
ატხადებს, რომ მისაღები **გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან,** სწავლა კი 1 სექტ. **პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანგანო განყოფილება,** სადაც მიიღებიან **სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.**

დოქტორი მედიცინისა, ბრიგატ-ფოტენტი
ვარლამ კავლეს ძე მოსეშვილი
8 მაისიდან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდი.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ

ექიმი **ი. ჩარეიძეი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნოკებს, ბორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**
ელექტროლენისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.
როგორც ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

ომი
(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)
კავკასიის ასპარეზი.
თფილისი. 31 აგვისტო. ოფიციალური. 29 აგვისტოს განმავლობაში ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. ოლთისის მიმართულებით არკინსთან ჩვენმა მზვერავებმა ოსმალები განდევნეს კლდეეპიდან დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი. 31 აგვისტო. ოფიციალური. რიგისა, ფრიდრიხშტატისა და იაკობშტატის რაიონებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ეკაუს სამხრეთით მდებარე პირზე და მიშავას ჩრდილო-დასავლეთით წვრილმანი რაზმების შეტაკება ხდება. საარტილერიო სროლა შესამჩნევად გაცხოველდა ლინდენის რაიონში, ფრიდრიხშტატიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსის მანძილზე. იაკობშტატის დასავლეთით პიქსტერინისა და საუკენის ტბების რაიონში სასტიკი ბრძოლა გრძელდება. დვინსკის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით მტერი ენერგიულად გვიტევს. აბელის რაიონში უციანისთან და აგრედვე სამხრეთით ბრძოლამ ძლიერი მკაცრი ხასიათი მიიღო. სადგურ ნოვო-სვენციანისთან მტერმა მოსჭრა რგინის გზა. ნოვო სვენციანისა და ვილნოს რაიონებ შუა მტერმა მძლავრი ძალებით შემოუტია; ამიტომ ჩვენი ჯარი იძულებული გახდა რკინის გზის სადგურის პოდბროძეს რაიონისაკენ უკან დაეხია. ვილნოს დასავლეთით მდებარე რაიონში, შემდეგ აღმოსავლეთით ორანის რაიონამდე ცვლილება არ მომხდარა.

ორანი-მოსტის პირზე სკიდელის რაიონში და აღმოსავლეთით ბრძოლა დაიწყო გაძლიერებულ მტერთან. მტერი შემოტევას ანვითარებს სკიდელიდან აღმოსავლეთით. საარიერგარდო ბრძოლებში ჩვენმა არტილერიამ ძლიერი სროლა განავითარა და მტერს ანადგურებს. ვოლსკოვისკ-კარტუზსკაია-ბერიოზის ხაზისაკენ მიმავალ გზებზე მტერი ფრთხილად მიდის წინ აღმოსავლეთით. მტერი ყველგან სცდილობდა მედგარი შემოტევით ხელი შეეშალა ჩვენთვის, ნაგრამ ყველგან შესაფერი წინააღმდეგობა გავუწიეთ და ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა, ზოგიერთ ადგილებში ჩვენი ჯარების წინდაწინ გათვალისწინებულ წესიერ უკან დახევაზე. კობრანსა და პინსკის შუა საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა. დრაგოჩინის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში უმნიშვნელო შეტაკება ხდებოდა. სარნიდან სამხრეთ დასავლეთით ჩვენი ჯარი თავს უკავებს შემომტევ მტერს, რომელიც უმთავრესად სცდილობს მდ. სტირისა და გორინის განსწვრივ წინ წაწევას აღმოსავლეთისაკენ, მაგალითად კოლკისა და დერაჟნოს რაიონებიდან დერაჟნოს რაიონში სასტიკი შესა-

ხვედრი ბრძოლაა. როვნოს დასავლეთით დუბნო-კრემენეცკის რაიონში ავსტრიელებს უშედეგოდ მოაქვ იერიშები. გალიციაში ტარნოპოლის რაიონში ჩვენმა ჯარმა, მიუხედავად მტრის არტილერიას გრიგალისებური სროლისა, კვლავ წაიწია წინ, ხელთ იგდო ტყვიის მფრქვეველები და ტყვეები და უკან დააბრუნა გერმანელებს, რომელნიც ჩრდილოეთისაკენ იხევენ უკან. ქვედა სერეტზე ზალეშჩიკოვის რაიონში მტერი შემოტევით სცდილობდა ჩვენი წინსვლის შეჩერებას დასავლეთით. მაგრამ, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, კვლავ დამარცხდა და უკან დაიხია. საერთოდ ავსტრიელ-გერმანელების მოქმედება ისისაკენ არის მიმართული, რომ შეინარჩუნონ შემოტევის ინიციატივა, რაიც ძლიერ ძვირად უჯდებათ.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 31 აგვისტო. ღამით რამდენიმე ბრძოლა მოხდა ხელით სასროლ ყუმბარებით. ბეტენ არასის გზებთან მტრის იერიში იოლათ მოვიგერეთ. სომის სამხრეთით ფეის წინ ნალმებით მედგარი ბრძოლა გძელდება. არმანკურისა და ბერვენის სექტორებში ძლიერი სროლაა.

ასეთივე სროლაა კონევერისა და ნუვრონის გორაკებზე. შამპანსა და არგონებში დრო გამოშვებით თოფით სროლაა. ლოტარინიის ფრონტზე ჩვენმა ბატარეიამ მარჯვეთ და მძლავრათ დაუშინა ცეცხლი გერმანელების სანგრებს, რომელიც გაკეთებული აქვთ ემბერმენილის მიდამოებში, ლენტრსა და ანსერვალეში. მოპირდაპირეს ერთი ჯგუფი, რომელიც ჩვენს მავთულის ღობეებს მოუახლოვდა, გეფანტულ იქნა ჩვენის ცეცხლით.

საღამოს ოფიციალური ცნობა. იზერზე, არასის ჩრდილოეთით, ნეოილისა და როკლენკურის სექტორებში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. უაზის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინა მოპირდაპირის ბანაკს. გერმანელების ქვეითა ჯარის რამდენიმე ნაწილი გაფანტოლ იქნა. აგრეთვე ანდეშინის წინ ძლიერი ცეცხლი დავუშინეთ არხზე ენსა და მარნას შუა გაკეთებულ მტრის სანგრებსა და ბატარეიას. საპინიელისა და ლანიველის მიდამოებში ბერიობაკთან საარტილერიო ბრძოლაა ყუმბარების საშუალებით. შამპანისა და არგონებშიც, მაასსა და მოზელელს შუა, საარტილერიო ბრძოლაა დრო გამოშვებით.

გერმანელების ჰაეროპლანებისაგან ქ.ქ. ლიუნევილსა და კომპენზე ამას წინათ ყუმბარების დაშენის გამო 31 აგვისტოს დილით, აფრინდა 19 ჰაეროპლანი ქ. ტრევის თავზე და ჩამოაგდეს 100-მდი ყუმბარა, რომელიც მოხერხებულათ მოხვდა სადგურსა და საიმპერიო ბანკს. ამავე დღეს, ნაშუადღევს, 58 ყუმბარა ესროლეს სადგურ დომარი-ოარ-ნკურს. სხვა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ესროლეს სადგურებს: დონაუს და ეშნკანს დუნაიზე და ზაერბაზე, სადაც შემჩნეული იყო ჯარების მოძრაობა. შეიძლება სარწმუნოთ ითქვას, რომ ყუმბარები მიხერხებულათ ხვდებოდა იმ პუნქტებს, რომელსაც უმიზნებდენ მფრინავები, და მიმავალი მატარებელი, როკორც სჩანს უნდა გაჩერებულიყო.

ლონდონი. 1 სეპტემბერი. საადმირალო იუწყება; მტრის ჰაეროპლანი თავს დაესხა ვენტის, სანაპიროებს და რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდოვო. ყუმბარამ ძლიერ დააზიანა ერთი სახლი და დასჩრა 4 მტრის ჰაეროპლანი იძულებული იყო მიმალულიყო, ინგლისის ჰაეროპლანების დადევნების გიმო.

სოფია. 31 აგვისტოს. დღეს გაუშვეს რეგულიარული ჯარის კაცები, რომელნიც 1912 წელში იყვნენ გაწვეულნი.

ვაშინგტონი. 1 ეკენ. ბერნსტორფმა ლანსინგთან საუბრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „არბიკ-ს“ დაღუპვის საქმე მშვიდობიანათ გადასწყდებაო.

პეტროგრადი. 31 აგვისტო. გერმანიიდან მოვიდა მეთორმეტე პარტია რუსის ინვალიდებისა. მათ შორის 3 ოფიცერია და 107 ჯარის კაცი. მათთან ერთათ ნოვოგორგიევსაიდან მოვიდა 40 მოწყალების დაი.

ლონდონი. 31 აგვისტო. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ აფიციალური წრეების აღელვება გერმანიის ელჩის ბერნსტორფის წინააღმდეგ თანდათან ძლიერდებაო. ბერნსტორფმა ის აზრი გამოსთქვა, რომ, თუ მას ჩააბარებენ პასპორტს, მაშინ გერმანიის მთავრობა უბრძანებს თავის წყალქვეშა ნავებს, დაეცენ ყველა სამგზავრო ორთქმავლებს, რომელნიც კი მათ შეხვდებიან ზღვებშიო. ეს კი უთუოდ გამოიწვევს გერმანიასა და შეერთებულ შტატებს შორის ომსაო.

ნიუიორკი. 1 ეკენისთვე. გერმანიის ელჩი ბერნსტორფი დილით ვაშინგტონს გაემგზავრა, რომ პირადათ ინახულოს ლანსინგი და ახსნა გარმატება მისცეს მას თავის განცხადების გამო.

რომი. 1 ეკენ. იტალიის მთავრობა თავის ჯარის რიცხვს ამრავლებს. ენერგიულათ ამზადებენ იარაღსა და საზამთრო ტანისამოსს ჯარისათვის.

ჩვენი ჯარის კაცები, რომელნიც გამოიქცენ ავსტრიიდან და რომელნიც იმყოფებიან გენუაში, იწერებიან, რომ მცხოვრებლებმა დიდი თანაგრძნობით მიგვიღეს და ყოველგვარი დახმარება აღმოგვიჩინესო.

პეტროგრადი. 19 აგვისტო. გამოქვეყნდა გამოქცეულთა უზრუნველ საყოფათ შემუშავებული კანონი.

ბუქარესტი. 30 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში ხმები გავრცელდა მობილიზაციისა და ჯარის გაგზავნის შესახებ ავსტრო-უნგრეთის საზღვარზე. მთავრობის ოფიციალური ცნობა უარყოფს ამ ხმებს და ადასტურებს, რომ ხმები გავრცელებულია ბოროტი პირებისაგანო. ეს მხოლოდ ჯარის ჩვეულებრივი მოძრაობაა, როგორც მანევრების დროს ხდება, ამიტომ არავითარი საფუძველი არ არის, ამ მოძრაობამ ეკმაყოფილება დაბადოსო.

სტოკჰოლმი. 31 აგვისტო. რადგანაც მუშათა კავშირებმა პროტესტი განაცხადეს აქტივისტების წინააღმდეგ, შვეციის სოციალისტური პარტიის ბიურომ გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელიც მიმართულია აქტივისტების აგიტაციის წინააღმდეგ, და გამორიცხა პარტიიდან სამი პირი, რომელიც თანაშრომლობდენ ცნობილ ფარულ ბროშურაში, სადაც ირკვეოდა შვეციის გარეშე პოლიტიკის საკითხები.

ტაშკენტი. 31 აგვისტო. გენერალ აფანასოვიჩის ქალიშვილის წვალების საქმეზე სასამართლომ ქსენია სამაბკოს გადაუწყვიტა. 8 წლის კატორგა, გენერალ აფანასოვიჩს ორი წლით დატუსაღება გამასწორებელი რაზმით და გზორეულ ქალს სუსლოვას ერთი წლის ციხე.

ნიში. 1 ეკენ. პრეს ბიურო იტყობინება, რომ ჩვენ დავასრულეთ საფოსტო მუშაობა დუნაის ფრონტზე ვიშეგრადის პირდაპირ. 29 აგვისტოს ბელგრადის მიმართულებით საალტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენ მტრის ბატარეია ჩავაჩუმეთ და ხელი შეუშალეთ მტერს საფოსტო მუშაობაში ბეტონის გორაკებზე მდ. სავის მარცხენა ნაპირზე ბელგრადის პირდაპირ.

პეტროგრადი. 31 აგვისტო. მთავარ სარდლობის მიღებისა გამო მისმა უდიდებულესობამ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდა, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო ინგლისის მეფეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

ამ სერიოზულ მომენტში, რომელსაც განიცდის ჩემი ქვეყანა, გადასწყვიტე ვიკისრო წინამძღოლობა ჩემი ჯარისა. გაცნობებ რა თქვენ ამ შემთხვევას, კიდევ ერთხელ გამოვსთქვამ ჩემს რწმენას, რომ ღვთის შემწეობით და მოკავშირეთა შეერთებული ძალღონით საბოლოო მათი გამარჯვება დააგვირგვინებს ამ სისხლის მღვრელ ომს.

იტალიის მეფეს: დავდექირა დღეს ჩემი ჯარის მეთაურათ, დღესვე ვუცხადებ თქვენს უდიდებულესობას ჩემო უგულწრფელეს სურვილს და ვაღვიარებ ჩემს ღრმა რწმენას, რომ საერთო ძალღონე ჩვენი მოკავშირე ქვეყნებისა დღითი-დღე მოგვიახლოვებს საბოლოო დიდებულს გამარჯვებას.

ბელგიის მეფეს: დავდექი თუ არა დღეს ჩემი ჯარის მეთაურათ, სიამოვნებით მივმართავ თქვენს დიდებულებას ჩემი გულითადი სურვილის გამოსათქმელათ თქვენსა და თქვენი კეთილშობილი გმირი არმიის წინაშე.

სერბიის მეფეს: ამ დღეს, როდესაც მე ჩემი ჯარის წინამძღოლათ ვხდები, მივმართავ თქვენს უდიდებულესობას და ძლევა მოსილ სერბიას გულით ვუსურვებ გამარჯვებას.

ჩერნოგორიის მეფეს: მივიღე თუ არა დღეს უმაღლესი სარდლობა ჩემი ჯარისა, მე მივმართავ თქვენს უდიდებულესობას ჩემი გულითადი მოსურვებით, რომ მოენიჭოს ბედნიერება თქვენს დიდებულებას და დიდება თქვენს იარაღს.

იაპონიის იმპერატორს: ვესწრაფი ვაუწყო თქვენს დიდებულებას, რომ დღეს მივიღე უმაღლესი სარდლობა ჩემი ჯარისა. ამისგამო მივმართავ თქვენს დიდებულებას და ვისურვებ დიდებას თქვენი იმპერიისას. და ძლევა მოსილ იაპონიის ჯარისას.

ომი და ზღვა.

უმაღლესი მთავარ სარდლის ღირსება.

„რ. ვ.“ სწერს: „მხოლოთ ერთი და შეიძლება უტყუვრათ ითქვას; სახელობრ ის, რომ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მთავარ სარდლის დიდი ღირსებით იყო შემკული: არმია მას სავსებით ენდობოდა და რუსეთის ჯარში დიდი ავტორიტეტი და „პოპულიარობა“ ჰქონდა მას მოპოვებული...

მძიმე დროს უხდება ხელმწიფე იმპერატორს ჯარების წინამძღოლობის გაწევა; მაგრამ ეს სიმძიმე ახლა შემსუბუქებულია იმით, რომ რუსეთის საზოგადოებრივი ძალები შეკავშირების გზას დაადგა, რაც ამ ბოლო დროს „საზოგადოების“ სხვა და სხვა განცხადებაში აშკარავდება და რაც იმას გვიმტკიცებს, რომ ქვეყანა მზათაა ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს ოღონდ მტერზე გამარჯვება მოიპოვოს!“

კიევის ამბები.

— საგაზეთო ქაღალდის ნაკლებობის გამო კიევის ყველა გაზეთები მხოლოთ ნახევარ ფორმატის გამოცეს.

— სასულიერო სასწავლებლებში სწავლა არ დაიწყება.

— კიევ-ლუცკის რკინის გზის ნაწილის უფროსი, როცა გზას ათვალიერებდა, გერმანელებმა დაატყვევეს.

— გამოქცეულთა რიცხვი კიევში ყოველ დღე საოცრათ მატულობს; მაგალითად გუშინ ქალაქში 14,000 კაცი შემოვიდა. გლეხები მხოლოთ მაშინ ტოვებენ თავის სარჩო, საბადებელს, როცა მტერი მათ კარ-მიდამოს ასაკლებათ ადგება.

— ყველა საშუალო სასწავლებლებში სწავლა შეწყვეტილია.

— მტრის მოახლოვება კიევის მცხოვრებთა შორის შიშიანობას, არევ-დარევას და ათას ნაირ ხმებს ბადებს. ცრუ ხმების გასაფანტავათ რკინის გზის ჯანდრმერიის გამგეობამ ზომები მიიღო და "ცირკულიარები“ დაუგზავნა თავის ხელქვეითებს. მიუხედავათ ამისა კიევის ვაგზლები ხალხათ არის გაჭედილი და ყველა ქალაქიდან დროზე გახვლას ფიქრობს. (რ. ვ.)

„დაცლილი“ ქალაქები.

ამ დღეებში „დაცალეს“ ქალაქები: ლუცკი დვინსკი, რიგა და ახალი ჯერი მინსკზე მიდგა. მინსკის გუბერნატორი ცურკულიარით, ამშვიდებს მცხოვრებთ და აცხადებს, რომ გუბერნიიდან იძულებითი გადასახლება არ მოხდება...

რიგის ამბები.

ზოგ ვაგზალში არც „ბაგაჟს“ იღებენ და არც სამგზავრო ბილეთებს იძლევიან.

— ქალაქში სანოვაგის ნაკლებობა დიდ გასაჭირში აგდებს მცხოვრებთ: ორ კვირაზე მეტია, რაც შაქარი თითქმის გაჭრა ბაზარ-დუქნიდან. ფქვილის ნაკლებობის გამო ბევრი ფურნე შავ პურს სულ არ აცხობს, ხოლო თეთრი პური კი მეტად ძვირათ ფასობს. ნაკლებათ იშოვება აგრეთვე ნავთი და სპირჩა.

— ამ რამდენიმე დღის წინათ სამრეკლოებიდან ზარები ჩამოიღეს, ახლა სპილენძის სახურავის ჩამოღებას შეუდგენ: [illegible] სპილენძის კრამიტით არის დახურული და უნდ[illegible] [illegible] მტერს ხელში არ ჩაუგდონ.

— რიგაში ახლა ბევრი გერმანელი ტყვეთ მოჰყავთ; მათ შორის ავსტრიელებიც არიან. ჰაეროპლანების თავდასხმა შეწყდა, რადგან ახლა რუსის მფრინავები დარაჯობენ ქალაქს. სამაგიეროთ სროლის ხმა ძალიან ახლოა ისმის, 23 აგვისტოს მძიმე ზარბაზნების ყუმბარების გრიალი მეტათ ახლოა ისმოდა სამხრეთის—ოლაის—მხრიდან.

თავდაცვის მილიცია.

ქ. ჟიტომირში (კიევის რაიონი) და ზოგ სხვა ქალაქებშიაც ამ დღეებში სახალხო მილიციის შედგენის გეგმა შეიმუშავეს. (კ. ს.)

კიევი თხოვილობს

კიევის საოლქო საბჭომ დაადგინა, რომ მიტროპოლიტი ფლაფიანე იყოლიოს ქალაქის წარმომადგენლათ. ხელმწიფის წინაშე. მართალია კიევს ჯერ-ჯერობით საიმისო ხიფათი არ მოელის, მაგრამ მაინც საჭიროა წინდაწინვე სათადარიგო ზომები მიიღონ. ქალაქი თხოვილობს, რომ დაცლის დროს საელეკტრონო სადგური და წყალსადენი არ დანგრიონ, 2) დაარსონ მილიცია და მასთან დროებითი სასამართლო; 3) მილიცია შეიარაღებული იქმნას; 4) ფინანსთა მინისტრს ეთხოვოს, რომ, რადგან ქალაქში ვერცხლის ფულის ნაკლებობაა, ქალაქის ბონები გამოუშვას; 5) „ობივატელთა“ კომიტეტი მოაწყონ და 6) ეთხოვოს გზათა მინისტრს, რომ საგაზეთო ქაღალდის შემოტანისთვის ზომები მიიღოს, ვინაიდან გაზეთების გამოსვლის შეწყვეტა ხალხში შიშიანობას მეტათ გააძლიერებსო.

(კ. ს.)

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

რუსეთი.

მთავრობასთან მოლაპარაკება.

როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან მინისტრთა თათბირმა ზომერთა ბლოკთან მოლაპარაკება სახ. კანტრალიორს, ხარიტონოვს მიანდო. ბამ ხარიტონოვმა „ბირჟ. ვედ.“ თანამშრომელს განუცხადა, რომ ბლოკის წევრებთან მოლაპარაკებას არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს; ეს მხოლოთ ინფორმაციული ხასიათის თათბირი იყოვო. (ბ. ვ.)

მომავალი ახალი სიეზდი.

მოსკოვში 7 სექტემბისთვის უნდათ გამართონ ქალაქებისა და ერობების კავშირთა საერთო სიეზდი. სიეზდი სამ დღეს იმუშავებს.

ჩხრეკა-ჭერა გახშირდა.

მოსკოვის მომხმარებელთა საზოგადოების კავშირის სადგომი გაჩხრიკეს, დაატუსაღეს 5 მოსამსახურე-წაიღეს მუშათა მომავალ გაზეთის სასარგებლოთ შემომწირველთა სია. (რ. ს.)

საჯოჯმანო ხმები.

გუშინ ღამ პეტროგრადში ხმები გავრცელდა სათათბიროს 15 სექტემბრამდე დაითხოვენო. (რ. ს.)

ბრძოლა ხატისთვის.

ამერიკაში გამოსული პოლონური გაზეთების ცნობით ქ. ჩენსტოხოვიდან ლვოისმშობლის ხატის ბერლინში გადატანის განზრახვამ მცხოვრებთა შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. საქმე ისე გამწვავდა თურმე, რომ ჯართან შეტაკებაც კი მოხდა.

ნემცებმა ამ საქმის გამო 72 კაცი დახვრიტეს; ხატი კი მონასტერშივე დარჩა. (კ. ს.)

მთავრობა და ზოგიერთა ბლოკი.

გაზეთი ,,ნოვოე ვრემია'' გადმოგვცემს: მინისტრთა საბჭომ გორემიკინის თავმჯდომარეობით ,,პროგრესთა ბლოკთან'' მოლაპარაკების შედეგის შესახებ მოხსენება მოისმინა. გამოირკვა, რომ ძნელია მთავრობის შეხედულების შეთანხმება ხსენებულ ბლოკის დებულებებთან და წინადადებასთან. ამ კვირაში საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა ისევ მოხდება და მაშინ საბოლოოთ გამოირკვევა, თუ რა გზას დაადგება მთავრობა. სათათბიროს ზოგ წრეებში იმედი აქვთ, რომ ბლოკის პროგრამის მთავარი მუხლები მთავრობის მიერ მიღებული იქნება; უთანხმოებას მხოლოთ ორი კითხვა იწვევს: კითხვა მთავრობის გამოცვლის შესახებ და ებრაელთა საკითხი. (ნ. ვ.)

ქრება აღკრძალეს.

26 აგვ. დანიშნული მე 3 საერთო მუშაობა საავთომყოფო კასის რწმუნებულთა კრება, რომელზედაც ლითონზე მომუშავეთა წარმომადგენლები უნდა გამოცხადებულიყვენ.

კრებას მიზნად ჰქონდა გაერკვია 1) ომისაგან დაზარალებულ მუშების დახმარების კომიტეტის დაარსების კითხვა; 2) ამ კომიტეტის მოღვაწეობის ფარგლის განსაზღვრა და მისი დამოკიდებულება სხვა ამ გვარივე დაწესებულებებთან. კრება ვერ შედგა, რადგან გრადონაჩალნიკმა ბრძანება გასცა, რომ მუშები არ შეკრებულიყვენ. (რ. ვ.)

„ბ ლ ო კ ი“.

ვის არ ახსოვს 904-5 წლის რუსული პრესის ძახილი-„ახალმა სიომ დაჰბერაო—და ბანკეტების გახშირება?

ყველაფერი ეს გვაგონდება დღეს, როცა იგივე რუსული ჟურნალ-გაზეთები წამ და უწუმ გაიძახიან: მთავრობა კურსს იცვლის, ახალ გზაზე დგება და შენც ,,საზოგადოებავ'' მაგარი რეზოლიუცია დაამზადეო.

საზოგადოებამაც ალლო აიღო და სხვა და სხვა სიეზდს ახშირებს, რეზოლიუციებს თხზავს და მრავალნაირ ,,ბლოკებს'' ადგენს. სჩანს ახალი ხანა დგება, ,,ახალმა სიომ დაჰბერა“!

და მერე რამ გამოიწვია ის? რამ ააბობოქრა, რამ შეაშფოთა, რა მოხდა ისეთი, რომ ეს „უწყინარი“ უშფოთველი ხალხი ძილს ჰკარგავს და „სამიტინგოთ“ ემზადება?

მიზეზიც ისევ იმგვარია, რაც ზემოთ დასახელებულ წლებში იყო; მაგრამ ახლა ის უფრო სერიოზულია, უფრო „მძიმე“ და საბედისწეროა!

მტრის გაძარჯვება იყო მაშინ მიზეზი და ახლაც მტრის შემოსევა არის...

ჰო, ეს გარემოება აფიქრებს მათ და კიდეც შეუდგენ გამოსავლის ძებნას. ამისთვის დასჭირდათ სხვა და სხვა პოლიტიკური სიეზდები თათბირები და „ბლოკები“.

მთელი რუსეთის „საზოგადოების“ და ხალხის მოწინავე ნაწილი „წრეებათ“, „ფრაქციებათ“ და პარტიებათ არის დაყოფილი. და აი დღეს, ამ საბჭდისწერო მომენტში უცბათ გამოეყვნენ ამ ნაწილს ერთი მხრით მარჯვნით—ყველა ჯურის რეაქციონერები, ხოლო მეორე მხრით-ყველა „უკიდურესი მემარცხნეები“. დარჩა შუა გული, ცენტრი, რომელსაც „მემარცხნე ცენტრი“ უწოდეს და რომელიც ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებას“ გამოხატავს.

ყოველ ჯგუფს და ფრაქციას ხომ თავისი საკუთარი პროგრამა-ტაქტიკა აქვს! მაგრამ **ერთ ნიადაგზე** მდგომთა შორის **საერთო** ბევრი რამ არის და ამიტომაც ისინი ხშირათ ერთდებიან, დროებითი კავშირს ჰკრავენ და საერთო მოქმედების პროგრამას, ან როგორც ისინი ეძახიან „პლატფორმას“ იმუშავებენ. ფრაქციათა და ჯგუფთა ან პარტიათა ასეთ შეკავშირებას ჰქვია „ბლოკი“.

გაზეთებიდან ვიცით, რომ შედგა „შავების ბლოკი“, ახლა კიდევ „პალატების“ წევრთა ბლოკი გაჩნდა. როგორც ვხედავთ ამ „ბლოკებში“ ხალხის წარმომადგენლები, უკიდურესი მემარცხენეები არ შედიან: ისინი განზე გამდგარან და ზემოთ დასახელებულ „ბლოკებს“ ეპვის თვალით უცქერიან, ველარ ენდობიან.

რატომ? განახლებული კურსი, მთავრობის გამოცვლა ამნისტია და სხვა ხომ ამათაც სურთ? საქმეც ისაა, რომ ყველაფერი ეს ახლანდელ „ბლოკისტებს“ **მხოლოთ სურთ** და როცა საქმე საქმეზე მიდგება ხოლმე და მიზნის მისაღწევათ ხალხთან დაკავშირება, ძალის გამოჩენა ხდება საჭიროთ, მაშინ უკანვე მიძვრებიან და „რეაქციონერთა ბანაკში“ მკვიდდრდებიან!

ისინი მხოლოთ „რეალური პოლიტიკის მიმდევარი ლიბერალები არიან და მხოლოთ „ზევიდან რეფორმას“ აღიარებენ. ამ ნიადაგზე ხალხის წარმომადგენელთ მათთან შეთანხმება არ შეუძლიათ და ამიტომაც ეს უკანასკნელნი ყოველთვის მათგან შორს დგანან და ცალკე „ბლოკს“ ადგენენ. ასე იყო რუსეთში წინად და ასე მოხდება ახლაც; და თუ ეს ჯერ კიდევ არ სჩანს, ამის მიზეზი მხოლოთ სამხედრო პირობებია.

სახ. სათათბიროს უკიდურეს მემარცხნეთა ფრაქციების ახლანდელი გამოსვლები ცხადათ გვიჩვენებენ, თუ რამდენათ შესაძლებელია და საჭირო ასეთი ბლოკი. ისინი მაგალითს გვაძლევენ, რომ ხალხის მოწინავე წრეებმა, ჯგუფებმა და პარტიებმა ასეთივე ბლოკი შეჰკრან დროებით, რომ დღევანდელ მომენტს ღირსეულათ შეხვდენ და პოლიტიკურ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგენ.

ეს არის რუსეთის სახალხო პარტიების მთავარი საჭიროება დღევანდელ მომენტში და რას ვხედავთ ამ მხრით „ჩვენს კურთხეულ საქართველოშიაც?

მხოლოთ განცალკევების ქადაგებას; ცალ-ცალკე გამოსვლების მოთხოვნას! სისწორით რომ ვთქვათ, ისიც ნამდვილია, რომ გაერთიანებისთვის, ბლოკის შესაკრავათ მხოლოთ სურვილი და სახალხო საერთო მოთხოვნების აღიარება არ კმარა! **თავი და თავი აქ ბრძოლის მეთოდის, გზისა და საშუალების ხასიათია!** და აი ჩვენი „სახალხოს“ „დემოკრატებიც“ სწორეთ ამ მხრით სუსტობენ: ისინი რუსეთის ლიბერალების მსგავსათ „რეალურ პოლიტიკას“ აღიარებენ. ალბათ ეს არის მთავარი მიზეზი, რომ მათ ქართველს დ. ბთან არა თუ რაიმე კავშირის დაჭერა, არამედ ახლო დაჯდომაც კი ეჯავრებათ.

გიგო დემოსიძე.

შემცდარი აზრი.

არ არის ისეთი მოქუშული ცა, რომელიც არ მოიწმინდოს, ისეთ მოქუშულ ცას გვაგონებს ქართული პოლიტიკური ცხოვრება. პარტიული შეხლა-შეტაკება, გაუგებრობა და როგორც აუცილებელი შედეგი ამისა--შეუთანხმებლობა თვით ელემენტარულ პოლიტიკურ საკითხებშიაც კი, აი, რა ახასიათებს ჩვენს პროგრამმებს, ჩვენს ტაქტიკას. მაგრამ გამოდარების ნიშნები ჯერ მოჩანს. ,,სახალხო ფურცლის'' გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია წერილი, სადაც, სხვათა შორის, იმაზედაც არის ლაპარაკი, რომ ჩვენი დასელები ,,მოლბნენ'' თუ ეს წერილი გულწრფელად არის დაწერილი, ჩვენ ისიც უნდა ვსთქვათ რომ ,,მოლბა'' ალბათ, თვით ,,სახალხო ფურცლის'' ჯგუფიც. ზავთან მხოლოდ ომს შეუძლიან მიგვიყვანოს. ჩვენს შინაურ ცხოვრებაში ომი იყო, მაშასადამე ზავსაც უნდა ველოდეთ. მაგრამ რანაირი უნდა იყოს ეს ზავი? მე ვფიქრობ, რომ მტკიცე ეროვნული პრინციპები ჩვენ ნაციონალისტურ წრეებში ჯერ არ შემუშავებულა. სულ რამდენიმე დღის წინად იგივე ,,სახალხო ფურცელი“, დასელებთან პოლემიკის ენით გატაცებული, სწერდა: რადგანაც ჩვენი დეპუტატები ქართველ ხალხის ინტერესებს არ იცავენ, დავავალოთ რომელიმე არა ქართველ დეპუტატს რუსეთის პარლამენტისას—ამ ინტერესების დაცვაო. განა, მარტო აქედანაც არა სჩანს, რომ ქართული პოლიტიკური აზრი ფეხ-ნალრძობ არსებასა ჰგავს, რომელსაც ასეთი კოჭლობა კიდევაც შეშვენის. სცადეთ, რომ ფეხ-ნალრძობმა სწორეთ გაიაროს და თქვენ ნახავთ, რომ ეს უფრო სასაცილო გამოვა, თუმცა სწორე სიარული თავის თავად ბუნებრივი და ლამაზი მოვლენაა.

მტკიცება იმისა, რომ ჩვენ, ქართველებს რუსეთის პარლამენტში დეპუტატები არა გყვავს, ერთგვარი შრომაა, რომლისაგანაც კარგ შედეგს ვერასოდეს ვერ მივიღებთ. არსებობს მარტივი საშუალება-რომ ვერაფერი დაინახოთ. ეს არის თვალების დახუჭვა. უადგილო ადგილას თვალების დახუჭვით, შეიძლება არ დაინახოთ, არამც თუ ისეთი პატარა არსებანი, როგორიც არიან ყველა დეპუტატები, საზოგადოთ, არამედ მზეც კი. მაგრამ, როდესაც თქვენ თვალს ხუჭავ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს მზე ჩადის, ან უკვე ჩავიდა. ეს თუ გნებავთ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენთვის, კერძო ადამიანებისთვის, ყოველივე ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, იმდენათ არსებობს, რამდენათ ვარსებობთ თვით ჩვენ. ამიტომ საჭიროა ფხიზელი თვალი, ნათელი გონება და უფრო მეტათ კი სურვილი, გულწრფელობით შეპყული, რათა სგანი გაიგოთ, საკითხი შეიგნოთ. იმ ბრძოლაში, რომელსაც ვაწარმოებთ ერთის მხრივ ჩვენ, ყველა ჯურის ნაციონალისტები და მეორეს მხრივ ჩვენი დასელებიუკანასკნელები მტკიცე და მეტოდიური ადამიანები გამოდგნენ. გულუბრიყვლობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მათ თავის პროგრამაში და ტაქტიკაში ჩვენის ზედ გავლენით შეცვალეს რამე. მართალია ჩვენ მათ ვებრძოდით, ჩვენ ბევრჯელ დავეჭერით ისინი მაგრამ გასისხლიანებულ იარაღს, რომლითაც ჩვენ მათ ვსჭრიდით, საკუთარ ჩოხის კალთით ვწმენდით და თანდათან ჩვენი ტანისამოსი იმათ ფერით შეიღება, ჩვენ მივიღეთ მათი ფერი, მათი იერი. ჩვენ მათ მოგვახვიეს თავზედ სოციალიზმი, რომელიც ვერ გავამართლეთ, ჩვენ მათ მოგვახვიეს აგრეთვე დემოკრატიზმი, რომელიც ჩვენ ხელში ჯერ ვერ გამაგრებულა. მაგრამ ჩვენ ვერ მოვახვიეთ მათ ის ნაციონალიზმი, რომელიც ჩვენს ხელში უკვე დამყაყდა. ნუ თუ საჭირო არ არის, ჩავუფიქრდეთ ამას!

რწმენისა და მიმართულების ატეესტაციას ჩვენში რეგვენები არიგებენ და ასეთ მსჯელობისთვის იქნება დასელადაც მომნათლოს ვინმემ. მაგრამ რას იზავ, როცა ჩვენში სიტყვას აზრის მიხედვით კი არ იხილავენ, მის კეთილხმოვანებას უგდებენ ყურს და სიტყვა დასელი კი არა კეთილხმოვანია ჩვენში. მაგრამ მე მაინც იმის მომხრე ვარ, რომ ყველა ამას თავი ვანებოთ და იმას კი ნუ ვიყვირებთ მარტო, რომ დასელებს სამშობლო არა აქვთ და მათი დეპუტატები არ იცავენ ქართველი ერის ინტერესებს. მივიდეთ მათთან ცოტა ახლო და, იმ რწმენით, რომ დასელებსაც სწამთ სამშობლო და მათი დეპუტატებიც იცავენ ქართველი ერის ინტერესებს, გამოვარკვიოთ, როგორ სწამთ მათ ეს სამშობლო და როგორ იცავენ მათი დეპუტატები ქართველი ერის ინტერესებს.

როდესაც გვირჩევენ, ჩვენ დეპუტატს გვერდი აუხვიოთ და მანდატი სხვებს გადავსცეთო, ამას იმითი ასაბუთებენ, რომ ჩვენი დეპუტატები პარტიული დისციპლინისა და დირექტივების წყალობით იძულებულნი არიან გაჩუმდნენ ქართულ საკითხებზედ. მაგრამ რომელ დეპუტატებს იპოვნიან ისეთს, რომელიც პარტიაში არ იყვეს და რომელია ისეთი პარტია, რომელსაც არ ჰქონდეს აგრეთვე თავისი დისციპლინა და დირექტივები. ან რომელია რუსეთის პარლამენტში ისეთი პარტია, რომელსაც ეროვნული საკითხი ისე ქონდეს გაშუქებული, როგორც ჩვენა გვსურს, მაშასადამე მათის აზრით ჩვენ უნდა დავენდოთ ისეთ დეპუტატებს, რომლებიც ისეთ პარტიებში შედიან, რომელთაც არაფერი გარკვეული არა აქვთ ეროვნულ საკითხის შესახებ და რომლებიც ამასთანავე არც ქართველები იქნებიან. მე მგონია [illegible] არ არის საჭირო იმის დასანახავათ, რომ ასეთ პირობებში [illegible] დეპუტატები გვირჩევნიან. აი, ამას არ უფიქრდებიან ისინი, რომელთაც ბნელ ოთახიდან გამოსვლა სურთ, მაგრამ არა კარებიდან, არამედ ბუხარში აცოცებით.

შ. ამირეჯიბი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

1 სექტემბერს, ექ. ს. ხეჩინოვის ბინაზე მოხდა კრება ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობისა. ამ სიმპატიურ საზოგადოების. თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა ქ-ნი ელისაბედ ნიკოლოზის ასული ხეჩინოვისა, მის ამხანაგათ გუბერნიის ექიმი ს. ე. ტერტეროვი და მდივანათ ა. ბ. გიგინეიშვილი, რადგანაც საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა ნ. ჩიქოვანმა ამ თანამდებობას თავი დაანება. იგი თფილისს გადაიყვანეს სამსახურში.

რვა წლის უანგარო და ერთგული სამსახურისათვის გამგეობამ დიდი მადლობა გამოუცხადა ბ-ნ ჩიქოვანს.

✦ 1 სექტემბერს აკურთხეს ქ-ნ ქავთარაძისაგან დაარსებული პირველ დაწყებითი სასწავლებელი ორივე სქესის ბავშთათვის: სკოლა ჩინებულათ არის მოწყობილი, აქვს მშვენიერი ეზო და ბაღი ბავშვების სათამაშოთ. ამ სკოლაში მიიღებიან ყმაწვილები $4^1/_2$ წ. ბავშვებიც. სწავლის ფული მაინც და მაინც დიდი არ არის (თვეში ათი მანეთი) და იმედია ის მშობლები, ვისაც თავის შვილის პატარაობითვე კარგათ აღზრდა უნდა, სიამოვნებით შეხვდებიან ამ სასწავლებლის დაარსებას.

სკოლის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ შარშანდელი წყალდიდობის შემდეგ გელათის მონასტერში მისვლა ძლიერ გასაჭირი იყო უხიდობის გამო; ამ დღეებში უკვე გააკეთეს საცალფეხო ხიდი და ეტლის გასავლელი ფონის კიდეც, ასე რომ მიმოსვლა მონასტრდე უზრუნველ ყოფილია.

✦ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, როგორც გაზეთები იუწყებიან კავკასიიდან განზრახვა ჰქონია გადასახლდეს დასასვენებლათ თავის საკუთარ მამულ ტემნიკოვოს, წავა ტომბოვის გუბერნიაში, სადაც დარჩება დაზამთრებამდის.

✦ როგორც გამოირკვა 2 ხარისხის (ლურჯ ბილეთიან) ჯარის კაცებს ამიერ კავკასიიდან აღარ გაიწვევენ.

✦ მე 3 რაიონის გზათა უფროს ბ. მარჯანოვს, რომელსაც ნათხოვი ჰქონდა თავის კანცელარიის ქუთაისიდან ბათუმში გადატანისა, ნება მოსვლია რომ ეს კანცელარია თავის შემადგენლობით ბათუმში გადაიტანოს. ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას და ადგილობრივ ვაჭართა კორპორაციას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ კანცელარია ისევ ქუთაიში დასტოვონ, ვინაიდან დღემდის ქალაქ ქუთაისი ითვლებოდა შუა ადგილათ ხაშურისა, ზესტაფონის და ფოთის ვაჭრებისათვის, რომელთაც დამოკიდებულება ჰქონიათ ამ კანცელარიასთან.

ებრაელების იმედი.

საზოგადოთ იმედი ყველასათვის მანუგეშებელია და ებრაელები ხომ მთლად იმედით ცხოვრობენ ისინი არც მაშინ კარგვენ თავის იმედს, როდესაც მათ ფეხქვეშ დედა მიწა ინძრევა.

ყველასათვის ცხადია, როგორ დაზარალდა ჩვენი ერთი პოლონეთსა და ლიტვაში. პოლიტიკურათ ხომ განადგურებული ვართ რუსეთში, და ახლა ამასზედ დაერთო ეკონომიური და კულტურული განადგურებაც. პოლონეთ ლიტვის ებრაელები, გუშინ ქონებრივათ ღონიერნი დღეს, სხვის სარჩენათ გადაიქცენ, მათი მშვენიერი სახლები და დუქნები მტვრათ იქცა და თვითონ კი გამოირეკნენ საცხოვრებელ ადგილებიდან. ასეთივე ბედი ეწვია მათს კულტურულ დაწესებულებებს: მოისპო ტელზის ძველი აკადემია „(იეშიბა)'' სადაც თითქმის ოთხმოცდა ათი წელიწადია იზრდებოდენ ებრაელთა დიდებული შვილები; მოისპენ სლაბოტკის დიდი სასწავლებლები, სადაც სწავლობდა ორიათასი ახალგაზდა კოვნოს „რაბინერ შულერი" და ვილნოს ებრაელთა სამასწავლებლო ინსტიტუტი დაიკეტენ, გროდნოს საპედაგოგიო კურსები აღარ არსებობენ, რადგანათაც მათი შემნახველები დღეს თვითონ შესანახათა და სხვის სარჩენათ გამხდარან ეს კიდევ ცოტაა, მოგვესპო წიგნი და მას მიყვა ჟურნალ-გაზეთებიც, მთავრობამ სულ დაგვიკეტა, რაც რუსეთში ჟურნალ გაზეთები ქარგონულათ ან ებრაულ ენაზე გამოდიოდა: „მაშენტი" „აინტი" „ფრაინდი'', რომლებსაც თითოეულს მათგანს ყავდა არა ნაკლები სამას ათას მკითხველზე მეტი, აღარ გამოდიან და დარჩენ სულიერ საზრდოს მოკლებულნი მათი მკითხველები. თვიური გაზეთი ,,აშილყახი'' და კვირეული ,,აყოლამი'' და დღიურები „ვაზმანი" და „გალეფირა'', რომლებიც გვაწვდიდენ უდიდეს ებრაელების მეცნიერების აზრებს, შეაჩერეს, და მათის შეჩერებით დადუნდა ებრაელების უბანი, აღარ ისმის ხმა ტირილისა ჩვენი პოეტების ღღევანდელს საშინელ მდგომარეობაზე; აღარ ისმის ხმა ჩვენი პუბლიცისტების, რომ გვანუგეშონ მომავალით. შეჩერდა ფრიშმანის ფელეტონები და შესწყდა ებრაელების „სიცილიც": დიახ, ირგვლივ სიბნელე, ირგვლივ უბედურება; ირგვლივ სიცრუე-ჭორები და ჰერის მოწამვლა. აბა რაღა დაგვრჩენია იმედის მეტი? სახელმწიფო სათათბიროს უარი სთქვა ებრაელებთა უსამართლო მოქცევის გამო გამორკვევაზე: დე, იწვალონ, დე, იტანჯონ, რა საჭიროა მაგათი გაკითხვა? აი ეს იყო მემარჯვენეებისა და ოქტომბრისტების ლოზუნგი. მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ არ ვამტყუნებ მემარჯვენეებსა და ოკტომბრისტებს. აბა რა ექნათ საბრალოებს, ეს საკითხი, რომ გაერჩიათ ხომ გამოირკვეოდა დაწვრილებით ის იონბაზობა, რომლის წყალობითაც ებრაელები შეავიწროეს. მათ ხომ საბუთის წამოყენება, არ შეეძლოთ ებრაელების „ღალატზე" და განა თვით სამხედრო მინისტრიც ვერ დამტკიცებდა ებრაელების ერთგულებას და თავგანწირულებას რუსეთისადმი, მაშინ სადღა წაიღებდნენ თავის სირცხვილსა და სიმწრის ოფლს

რიღათი მოიწმენდნენ? ვფიქრობ, ბატონი ჩხეიძის დიდებული სიტყვები, რომელიც ნათქვამი იყო წმინდა ქართველის ფსიხოლოგიური გულიდან, დიდ გულის ფრიალს აუტეხდა მათ, და როდესაც ებრაელების დეპუტატმა ფრიდმანმა თავისი არაჩვეულებრივი სიტყვები წარმოსთქვა: „აშკარათ ვაცხადებ ქვეყნიერებისა და დიდი რუსეთის წინაშე, რომ ყველა ღალატი ებრაელებზე შეთხზულია იმ პირებისაგან, რომლებიც თვითანვე ღალატობენ, და ამის დოკუმენტებსა და დამამტკიცებელ საბუთებს სათათბიროს დახურულ კრებაზე წარმოუდგენო". **დ. ბაზოვი.**

(დასასრული ხვალ).

გიგლიოგრაფია.

ალ. ზერსევანიშვილი.

სახალხო ბიბლიოთეკა. № 1

„გმირი ქალი, მათე ეაჩადად წოდებული" (მე 18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდამ) ფასი ერთი შაური.

„მოდით, ძმანო, აქ მოგროვდით
გეტყვით გულის გასართობსა,
ვინ ვიყავით, რა ვიყავით.
ჩვენ ქართველნი, წინ დროსა,
იმ დროს რაც ქართლის ბედი
ჩვენ—ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულისშვილობა
სახალხოდ იყო ჩვენში.

ილ. ჭავჭავაძე.

ჩემ წინ პატარა წიგნაკია ისტორიული შინაარსისა იგი ეკუთვნის ქუთაისის საბალხო უნივერსიტეტის რეკტორს ბ. ალ. გერსევანიშვილს კალამს.

ეს წიგნაკი ეოველმხრივ შესანიშნავია. დრმა შინაარსის კარდა, იგი დაწერილია კასაკებ ენით. ავტორი მოგვითხრობს იმ გმირ ქართველ ქალზე, რომელმაც „თვისი სიტოტხლე თვისს მამულსა შესწირა მსხვერპლად.

მათე-მაიას ცხოვრება, მისი ტანჯვა-ვაება დამახასიათებელი სურათია ჩვენი შინაური ცხოვრებისა მე-18 ს—ში.

ამ წიგნაკის შინაარსი დაახლოვებით წინადაც ვიცოდი, რაცა მე მიურეებულ სოფლიდამ ჩამოსულმა მოვისმინე ლექცია ამ ქალის შესახებ. კარგად მახსოვს ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზე ბ. ალ. კარსევანელმა. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა კატეგორიით კითხულობდა იგი თავის ლექციას .. მთელი აუდიტორიის კრძნობა მარტივად გამოხატა „კანთიადის" რედაქტორმა ბ. ხომლელმა. მან დაახლოებით ასეთი სიტყვებით მიმართა ლექტორს: ბ-ნო ალექსანდე! გმადლობ იმ სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენ მე მაგრძნობინეთო... გმირი მაია, რომ ლის ლვაწლი მდაბიო ხალხმა არ დაიწყო და თავის ლექსებში ადნიშნა, თვალწინ მიდგა, ვით ტოტხადი... აღტაცებული ვარ მისი მოქმედებით... მომეცი დასაბეჭდათო .. და აი ეს ლექცია ჯერ გაზეთ "სამშობლოში" დაიბეჭდა და ახლა კი გამოვიდა ავტორის წინასიტყვაობით ცალკე წიგნაკად. საკურველია რომ იგი მალე გავრცელდეს ხალხში. მით უმეტეს, რომ ფასი წიგნაკისა სულ **ერთი შაურია.**

ჩვენ, სოფლის მასწავლებლები, მოვალენი ვართ გავავრცელოთ ეს კარგი თხზულება. მთელ საქართველოს უნდა მოეფინოს ფალავან-გმირი მაია წენეოელის სახელი. ფართო მასსამ უნდა გაიგოს თუ რა დიადი ქალები ჰყოლია ჩვენ ბედკრულ ქვეყანას წარსულში. ასეთი წიგნაკის გავრცელება ამჟამად ძალიან საჭირო... **სკანდაროვების და**

შახბარათოვის გამოცემებს უნდა მოუდოთ, ბოლო.. კმარა ამდენი დაცინვა..!.

დმერთო! რა შინაარსის წიგნაკებს ბეჭდვენ ამ ბოლო დროს ეს ვითომ და გაქართველებული „იანტები".. რაგორი სისწრაფით ავრცელებენ თავიანთ „ორ შაურიან" ბროშიურებს.. იბეჭდება ათი-ათასობით ასეთი წიგნაკები, რაგორც არიან მაგალ. „ბარაშკაჯან, არ შეგცოდეს" „დამაზი გოგოს ჭირიმე", „ახალი მოდის ჯიბგირი" და სხვა ამგვარი...

ვიმეორებ, დროა საერთო ძალით ბოლო მოეღოს ასეთ სპეკულიაციას. დროა მხარი დავუჭიროთ იმათ, ვინც აწოდებს ხალხს სად სულიერ საზრდოს...

რაგორც სჩანს, ბ. ალ. კარსევანიშვილს აზრათა აქვს გამოსცეს მთელი სერია, მთელი რიგი ისტორიული შინაარსის წიგნაკებისა და მისი „გმირი ქალი მაია" მხოლოდ პირველი ნაგერია ამ სერიისა... მაშ თუ ასეა, ვსურვოთ პატივცემულს ავტორს წარმატება ამ კეთილ საქმეში

სოფლის მასწავლებელი **კ—ია.**

დაბა-სოფელი.

ს. თერჯოლა (შორაპნის მაზ.). თერჯოლის საზოგადოება შესდგება ხუთი მოზრდილი სოფლისაგან. მიწის სინოყიერე ხელს უწყობს მეურნეობას, ამიტომ უმთავრესათ მცხოვრებნი მისდევენ სიმინდისა და პურის სთესვას, და საუკეთესო ჯიშის ვენახის გამრავლებას. მართლაც, ღვინო ამ საზოგადოებაში ბლომათ მოდის, და წელს, შედარებით სხვა წლებთან, კარგი ფასი ჰქონდა. ამ გარემოებამ უფრო გაალვიცა მცხოვრებთა შორის სურვილი ვაზის გაშენებისა.

მცხოვრებლები თვით ამზადებენ საჭირო სანერგე ვაზს, იტოვებენ თვითონვე დასარგავათ და ზედმეტს კი შესაფერ ფასში ყიდიან. ღვინის ფასით გლეხები იკმაყოფილებენ ყოველივე ოჯახურ თუ გარეშე მოთხოვნილებას.

ეს საზოგადოება სხვა საზოგადოებებს არ ჩამოუვარდება კულტურულ დაწესებულებებით. ამ საზოგადოების ხუთივე სოფელში არსებობენ სკოლები, როგორც სამრევლო, აგრეთვე სამინისტროც, სადაც მრავალი ყმაწვილი სწავლობს.

არსებობს კოოპერატივი, რომელსაც ბევრი წევრი ყავს.

სამინისტრო სკოლის დაარსებამ დიდი უთანხმოება გამოიწვია წოდებათა შორის. გლეხებმა იკისრეს სკოლის შენობის აგება და კიდევაც შეასრულეს ის მძიმე საქმე. ამ სკოლაში დღესაც მხოლოდ მშრომელი ხალხის შვილები სწავლობენ—თავად-აზნაურობა—კი ვერ სარგებლობს ამითი. საჭიროა ეს საკითხი მოწესრიგდეს და ყველა წოდების ბავშვები თანაბრათ სარგებლობდენ სკოლით.

დღეს სიზოგადოების განზრახვაა, ადგილობრივი სამინისტრო სკოლა გადაიკეთონ პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლათ. ამ საკითხში თავად-აზნაურობა უკვე გლეხებთან ერთად იღებს მონაწილეობას. იყო რამდენჯერმე მოლაპარაკება. მაგრამ საბოლოოთ გადაწყვეტილებას ჯერჯერობით ვერ დაადგენ, ერთი ნაწილი ფიქრობს სამეურნეო სკოლის დაარსებას, მეორე კი უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლისა.

ღრმათ, რომ ჩაუკვირდეთ ამ აზრს, კარგათ გავითვალისწინოთ ადგილობრივი მიწის ნიადაგის ვითარება, მივალთ იმ დასკვნამდი, რომ აუცილებლათ საჭიროა სამეურნეო სკოლის დაარსება. გადავხედოთ პირველ დაწყებითი უმაღლესი სკოლის შედეგებს, რა მოაქვს ჩვენთვის ახალი? სრულიად არაფერი. ჩვენს მშრომელ ხალხს არ აქვს მისი შეძლება, რომ ამ სკოლის დასრულების შემდეგ სადმე თავის შვილს სწავლა გააგრძელებიოს. უნდა დარჩეს მისი შვილი ოჯახში, შრომის უნარს მოკლებული, ვერც სკოლას ითვისებს შესაფერათ. სამეურნეო სკოლაში კი ბავშკი პატარობიდანვე მიეჩვევა შრომას და სასწავლებლის დასრულების შემდეგ სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი შეუდგება თავის ოჯახურ მეურნეობას და თვალსაჩინო მაგალითსაც მისცემს თავის მეზობლებს.

არ არის საჭირო ჩვენთვის სოფლად ისეთი სკოლები, რომელნიც ჩვენ გადაგვარებას ემსახურებიან და მშობლიურ კერას გვატოვებინებს, არამედ საჭიროა ისეთი სკოლები, რომელნიც აუცილებელი საჭიროებას შეადგენენ ჩვენი ეროვნული მეურნეობის წარმატებისათვის. მიეცით ხალხს ისეთი სკოლა, რომელიც მის მრეწველობას და ნივთიერ მდგომარეობას კეთილ წარმატებას მიანიჭებს.

სასურველია, ამ საკითხზე თერჯოლის მოწინავე პირებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი.

მასწ. დ. სალაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნუმერში ადგილი დაუთმოთ წარმოდგენის ანგარიშს, რომელიც გაიმართა ქუთ. 24 ივნისს ხრესილის ბიბლიოთეკის სასარგებლოთ.

შემოვიდა ბილეთების გაყიდვისაგან: 173 მ. 79 კ. შემოწირულება—7 მან. ჯამი: 180 მ. 79 კ.

დაიხარჯა: თეატრი 35 მ., მარკები 12 მ. 44 კ.; პარიკმახერი 6 მან., აფიშა და ანონსი 8 მ. 14 კ., [illegible] ანონსის დარიგება და გაკვრა 5 მ. და 15 კ., არტისტებს 15 [illegible] 4 [illegible] 55 კ., წვრილმანი ხარჯები 6 მან. მეორე დღეს დაბრუნებული ბილეთები: 14 მ. და 2 აბ. სხვადასხვა პირზე დარჩენილი ბილეთები 10 მ. და 17 შ. სულ 218 მ. 72 კ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 62 მ. 7 კ.

ამასთანავე გულითად მადლობას ვწირავთ ენერგიული დახმარებისათვის: ქქ. აგრაფინა ქელბაქიანისას, ტ. გრიგოლაშვილის ასულს, სტ. ერ. ჟორჟოლაძეს და სტ. გ. მეძმარიაშვილს, სცენის მოყვარეებს: ქქ. ს. ეპიტაშვილს, ნინო აბაშიძეს, ბბ. ანტონ ჟღენტს, სტ. ი. ჟღენტს, გ. ლორთქიფანიძეს, ვალოდია ტყეშელაშვილს და შალვა ბეჟუაშვილს.

განსაკუთრებით მადლობას ვწირავთ ბ. მ. ჯანოევს (ნემოს), რომელიც ყოველთვის დაუღალავი ენერგიითა და ხალისით ღებულობს მონაწილეობას ყველა საქველმოქმედო საქმეში და ჩვენც მრავალჯერ დაგვხმარებია.

დასასრულ უღრმეს მადლობას ვწირავთ ბბ. ნ. მხეიძეს, რომელმაც შემოსწირა 3 მან., კ. აბაშიძეს—1 მ., პ. წულუკიძეს—1 მ. და 10 შ., №—1 მ. და 1 შ.

ბიბ. გამგეობა.

P. s. ბოდიშს ვიხდით ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ანგარიშის დაგვიანების გამო. **გამგეობა.**

———

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში დაუთმოთ ადგილი ჩვენს მოკლე ცნობას.

შაბათს, 25 ივლისს, ოკრიბაში, სახელმბ ს. ბობოთში გავმართეთ წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით. შემოვიდა სულ 33 მან. ხარჯებს გარდა დაგვრჩა 15 მ. ამ დარჩენილ ფულიდან 9 მან. ვსდებთ ხრესილის სამკითხველოს სასარგებლოთ, დანარჩენი 6 მან. კი გადავეცით მზრუნველ კომიტეტის თავჯდომარეს—აპარლების სასარგებლოთ.

მზრუნ. ვიქტორ კონ ძე მხეიძე და ეზეკია ბეს. როინიშვილი.

აგრეთვე მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და წარმოდგენაზე დაუსწრებლათ თავისი წვლილი გაიღეს, ან უსასყიდლოთ დაგვეხმარენ ამ წარმოდგენის გამართაში. *)

*) უადგილობის გამო მათი სახელი და გვარი ვერ იბეჭდება. **რედ.**

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ეოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ეველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

იწრაფეს ბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.